საგამოცდო პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

პროფესიული უნარები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარები

- ხელოვნების პრინციპებისა და ელემენტების გამოყენების სწავლება ნამუშევრის შექმნისას (კომპოზიციური განაწილება, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება, სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი და ა.შ.) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა და ასოციაციების, ემოციების, იდეების გადმოცემა; სხვადასხვა ტექნიკის, პროცედურის (ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟის, აპლიკაციის, ტრადიციული ხელსაქმის რომელიმე სახეობის და ა.შ) გამოყენება, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დიზაინის შესაქმნელად, პრეზენტაციის ჩასატარებლად; ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას)
- მოსწავლეთათვის უსაფრთხო, კომფორტული, შემოქმედებითი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; სასწავლო რესურსების ორგანიზება (მოსწავლეებისთვის თვითგამოხატვის საშუალების მიცემა - საინტერესო ამოცანების და აქტივობების შეთავაზება)

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში

- ხელოვნების ნიმუშების ამოცნობა და ზოგადი დახასიათება (სახელწოდება, ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი, მასალა და ტექნიკა)
- სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ანალიზი, სხვადასხვა ქვეყნისა და პერიოდის ხელოვნებას შორის ისტორიულ-კულტურული კავშირების გამოვლენა.
- მსჯელობა სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგების, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე, ხელოვნების ნიმუშების დამზადების ტექნოლოგიასა და მასალაზე

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

- ხელოვნების ნიმუშის ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია
- მხატვრული ნაწარომების ფორმის, თემისა და შინაარსის ურთიერთმიმართების განსაზღვრა
- ნაწარმოების ინტერდისციპლინურ კონტექსტში განხილვა (საგანთაშორისი კავშირების დადგენა)
- სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება (სასკოლო გამოფენა, სპექტაკლი, ექსკურსიები და ა. შ.)

პროფესიული ცოდნა

- ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სტილისა და მიმდინარეობების მხატვრული მახასიათებლები
- ტერმინები და მხატვრული ენა
- სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები
- სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები (ხაზი, კონტური, ფერი, ფორმა, ორნამენტი, კოლორიტი, ტონალობა, შუქ-ჩრდილი, გრადაცია, ფაქტურა, მოცულობა, მთლიანობა, პროპორცია, სივრცე, ხედვის წერტილი, პერსპექტივა, სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, დინამიკა, კომპოზიცია)
- სახვითი მასალა და ტექნიკა (მაგ.: ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, მოზაიკა, ქაღალდის პლასტიკა, კოლაჟი, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება სხვადასხვა მასალის გამოყენებით)

ხელოვნების ისტორია

პრეისტორიული ეპოქა
სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის წარმოშობა, პირველყოფილი ხელოვნება: პერიოდიზაცია, პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ძეგლები (მცირე პლასტიკა - ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება), გამოქვაბულის მხატვრობა (მაგ.: ტასილი აჯერა, ალტამირა, ლასკო).

ძველი აღმოსავლეთი

- ეგვიპტის ხელოვნება

ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; წინადინასტიური, ძველი, შუა, ახალი სამეფოების და გვიანდელი პერიოდის ეგვიპტური ხელოვნება - არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი, კედლის მხატვრობა (მაგ.: მასტაბები, გიზას პირამიდები, მენტუხოტეპებისა და ხატშეპსუტის სატაძრო კომპლექსი დეირ ელ-ბაჰარიში, ლუქსორის და კარნაკის სატაძრო კომპლექსები თებეში, რამზესის ტაძარი აბუსიმბელში. ნარმერის ფილა, მწერალი კას ქანდაკება, ხეფრენის დიდი სფინქსი, მემნონის კოლოსები, სამარხის კულტთან დაკავშირებული პორტრეტული ქანდაკებები. სამარხის მხატვრობა; ამარნის კულტურა: ეხნატონის, ნეფერტიტის ქანდაკებები, ახეტატონის სასახლის რელიეფები და მოხატულობა; ტუტანხამონის აკლდამა).

- შუამდინარეთის ხელოვნება

ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; შუმერის და აქადის ხელოვნება: არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება (მაგ.: ურის ზიკურატი; რელიეფები: ყვავების სტელა, ნარამ-სუენის სტელა, ხამურაპის სტელა; ქალღმერთი ურუქიდან, ღმერთი აბუ, ებიხ-ილი, სარგონ ძველი, გუდეა, იშტარი, ლომების კარიბჭე).

- ასურეთის ხელოვნება

არქიტექტურა, ქანდაკება და გლიპტიკა (მაგ.: სარგონ II სასახლე დურ-
შარუკინში და მისი რელიეფები, შედუ სარგონ II სასახლიდან, აშურბანიპალ Iიის სასახლის რელიეფები ნინევიაში; საბეჭდავები).

- ბაბილონის ხელოვნება

არქიტექტურა, ქანდაკება და გლიპტიკა (მაგ.: იშტარის კარიბჭე, სამხრეთ სასახლის რელიფურ/დეკორატიული მორთულობა).

- აქემენიდური ირანის ხელოვნება

ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება: (მაგ.: ზივიესა და ლურისტანის განძი, ფასარგადის, პერსეპოლისის არქიტექტურული კომპლექსები (სასახლეები, რელიეფი, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება).

ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი
ანტიკური ხელოვნების პერიოდიზაცია; ანტიკური სამყაროს მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში.

- ეგეოსური სამყაროსა და ძველი საბერძნეთის ხელოვნება:

კრეტა-მიკენის ხელოვნება (მაგ.: კნოსოსის სასახლის არქიტექტურა, ქანდაკება, კედლის მხატვრობა: "პარიზელი" ქალის პორტრეტი, აკრობატები ხარზე, კედლის მხატვრობა ცისფერი ჩიტით; მეფე-ქურუმის რელიეფი; მიკენის აკროპოლისი - ლომების კარიბჭე, ტირინფის ციხე-სიმაგრე, აგამემნონის ნიღაბი, კერამიკა).

- ბერძნული არქაული ხელოვნება

არქიტექტურული ორდერი, კუროსები და კორები, კერამიკაზე მხატვრობა – კერამიკული ჭურჭლის სახეობები, კერამიკული მხატვრობის სტილები.

- ბერძნული კლასიკური ხელოვნება

პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი; ადრეული კლასიკა (პოსეიდონის ტაძარი პესტუმში, ათენა აფაიას ტაძარი კუნძულ ეგინზე, დელფოსის მეეტლე, მეხისმტყორცნელი ზევსის ქანდაკება, მირონის შემოქმედება); მაღალი კლასიკა (ათენის აკროპოლისი, ფიდიასისა და პოლიკლეტის შემოქმედება); გვიანი კლასიკა (ეპიდავრის თეატრი, არტემისის ტაძარი ეფესოში, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, სკოპასის, პრაქსიტელისა და ლისიპეს შემოქმედება).

- ელინისტური ხელოვნება

არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (მაგ.: ზევსის ტაძარი ოლიმპიაში, პერგამოსის არქიტექტურა და რელიეფი, მოზაიკა დელოსის ნიღბების სასახლიდან, ქანდაკება პერგამოსიდან, ნიკე სამოფრაკიელი, დიადოხი, აფროდიტე მილოსელი, ფილოსოფოსის თავი, ლაოკოონი).

- ეტრუსკული ხელოვნება

არქიტექტურა (მაგ.: ჩერვეტერის რეგოლინი-გალასის აკლდამა, ტარკვინიის ციხესიმაგრე, ტაძრები, სახლები); აკლდამების მხატვრობა (მაგ.:, ვაკხანტების, ლომების, ლეოპარდის სამარხის მოხატულობა), ეტრუსკული ქანდაკება (მაგ.:ჰერმესისა და აპოლონის ქანდაკება ვეიდან, ჩერვეტერის სარკოფაგი)

- რომის რესპუბლიკისა და იმპერიის ხელოვნება

პერიოდიზაცია; ქალაქთმშენებლობა, არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა/მოზაიკა, რელიეფი (მაგ.: რომის ფორუმი, პომპეის სასახლეები, აკვედუკები, ხიდები, თერმები, ტრიუმფალური თაღები, სარკოფაგები – ვია აპია, ფაბრიციუსის ხიდი რომში, ადრიანეს მავზოლეუმი რომში, ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რომში, ადრიანეს თერმები ლეპტის მაგნაში, ევრისაკის სამარხი რომში, ცეცილიუს მეტელას სამარხი რომში, ნერონის ქანდაკება, მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება, ტრაიანეს სვეტი, კოლიზეუმი, რომის პანთეონი, პომპეის მხატვრობა, ფაიუმის პორტრეტები).

ბიზანტიის ხელოვნება

ბიზანტიური ხელოვნების თავისებურებები; ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა/ პერიოდიზაცია; ბიზანტიური არქიტექტურის ტიპები (მაგ.: რავენას გუმბათური ხუროთმოძღვრება - სან ვიტალე, აია სოფიის ტაძარი კონსტანტინოპოლში); ბიზანტიური ფრესკული მხატვრობა (მაგ.: აგიოს დემეტრიოს, სან ვიტალე), მოზაიკური მხატვრობა (მაგ.: აია სოფიის ტაძრის მოზაიკები, გალა პლაციდიას მავზოლეუმის მოზაიკები, სან აპოლინარე ნუოვოს მოზაიკები), მინიატურა (მაგ.: რაბულას და როსანოს კოდექსები).

ქართული ხელოვნება

ქართული ხელოვნების უძველესი ნიმუშები და უძველესი ნაგებობანი; ანტიკური ხანის ქართული ხელოვნება (მაგ.: კოლხური სამკაული); ქართული ქრისტიანული ხელოვნების პერიოდიზაცია/ ისტორიულ-კულტურული კონტექსტი; ბაზილიკისა და დარბაზული ეკლესიის თემა ქართულ არქიტექტურაში; გუმბათოვანი ტაძრის თემა ქართულ არქიტექტურაში; ტეტრაკონქი; მცხეთის ჯვარი და ჯვრის ტიპის ძეგლები; ქართული კათედრალები _ ოშკი, ბაგრატი, სვეტიცხოველი, ალავერდი; სამთავრო-სამთავისის ტიპის ძეგლები; VI-XVIსს. ქართული რელიეფი; ადრეული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული მოზაიკური მხატვრობა; შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობა; ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ეტაპები; IX-XIIIსს. ჭედური ხელოვნების თავისებურებები; XVIს-ის ქართული ოქრომჭედლობა; XIX-XX საუკენეების ქართული სახვითი ხელოვნება (თბილისური პორტრეტი; აკადემიური მხატვრობა – გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, რუსული რეალისტური ხელოვნების გავლენა); ახალი და თანამედროვე ხელოვნება: მხატვრები - ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, კირილე ზდანევიჩი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი, სერგო ქობულაძე, ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, ირაკლი ფარჯიანი, მერაბ აბრამიშვილი; თეატრის მხატვრები – ირაკლი გამრეკელი, პექტრე ოცხელი; მოქანდაკეები - იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, გოგი ოჩიაური.

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება

რომანული და გოთური ხელოვნების მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში; ხელოვნების სინთეზის საკითხი შუა საუკუნეების ხელოვნებაში – არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა.

საფრანგეთის რომანული ხელოვნება: წმ. ტროფიმეს ტაძარი არლში, წმ. ლაზარეს ტაძარი ოტუნში, წმ. პეტრეს ტაძარი მუასაკში (არქიტექტურა,ქანდაკება, ვიტრაჟი);
საფრანგეთის გოთური ხელოვნება: პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, შარტრის ტაძარი, სტრასბურგის კათედრალური ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი);
გერმანიის რომანული ხელოვნება: წმ. მიხეილის ტაძარი ჰილდესჰეიმში, მაინცისკათედრალური ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი);
გერმანიის გოთური ხელოვნება: ვორმსის ტაძარი, მარბურგის ტაძარი, ნაუმბურგის ტაძარი, კიოლნის ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი);
ინგლისის რომანული ხელოვნება: დურჰამის კათედრალური ტაძარი, კათედრალური ტაძარი ილიში (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი);
ინგლისის გოთური ხელოვნება: ექსეტერის კათედრალი, ვესტმისტერის სააბატო,სამეფო კოლეჯის კაპელა, უელსის კათედრალი (არქიტექტურა, ქანდაკება,ვიტრაჟი).

რენესანსის ხელოვნება

იტალიური რენესანსის პერიოდიზაცია; რენესანსის ეპოქის ისტორიულკულტურული ასპექტები;
ადრეული რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (მაგ.: სკროვენის კაპელა პადუაში, კამპოს მოედნის არქიტექტურა სიენაში, ბაფტისტერიუმი ფლორენციაში, ფილიპო ბრუნელესკის, ლორენცო გიბერტის, ანდრეა დელა რობიას, დონატელოს, ჯოტოს, მაზაჩოს, პიერო დელა ფრანჩესკას, სანდრო ბოტიჩელის შემოქმედება);
მაღალი და გვიანი ხანის რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (წმ. პეტრეს ტაძარი, მედიჩების სასახლე და განსასვენებელი, პაპი იულიუს II განსასვენებელი, ჯორჯონეს, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, მიქელანჯელოს შემოქმედება);
გერმანული რენესანსის ქანდაკება და მხატვრობა (მაგ.: მატიას გრუნევალდის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის, მარტის შონგაუერის შემოქმედება);
ნიდერლანდების ხელოვნება XV-XVI საუკუნეებში: იან ვან ეიკის, როგირ ვან დერ ვეიდენის, იერონიმუს ბოსხის, პიტერ ბრეიგელის შემოქმედება.

XVII-XIXსს-ის ევროპული ხელოვნება

ისტორიულ-კულტურული, სოციალური მიმოხილვა: ბაროკოს, როკოკოს, რომანტიზმის, ნეოკლასიციზმის და რეალიზმის მხატვრული მიმდინარეებები, არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, ფოტოგრაფია (პიტერ პაულ რუბენსი, რემბრანტი, ანტუან ვატოს, ფრანსუა ბუშეს, ჟან ონორე ფრაგონარის, ჟაკ ლუი დავიდის, ოგიუსტ დომინიკ ენგრის, თეოდორ ჟერიკოს, ეჟენ დელაკრუას, ფრანსისკო გოიას, უილიამ ტერნერის, ფელიქს ნადარის (ფოტოგრაფი), გუსტავ კურბეს, ონორე დომიეს, ედუარდ მანეს შემოქმედება).

ახალი და თანამედროვე დასავლური ხელოვნება

იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი (აფრიკული ქანდაკებისა და ნიღბების, კოლუმბამდელი სამხრეთ ამერიკის, იაპონური ხელოვნების გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე), ნაივური ხელოვნება, არტ-ნუვო, სიმბოლიზმი, აბსტრაქციონიზმი, სურეალიზმი, დადაიზმი, პოპ-არტი: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, ახალი მედიები (იმპრესიონისტები: კლოდ მონე, ედგარ დეგა, პიერ-ოგიუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, ოგიუსტ როდენი; პოსტიმპრესიონისტები, ექსპრესიონისტები, ფოვისტები, სიმბოლისტები: ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ვანგოგი, ედუარდ მუნკი, ანრი მატისი, პაბლო პიკასო, ჯორჯ ბრაკი, ანრი რუსო, გუსტავ კლიმტი; სურეალისტები: სალვადორ დალი, რენე მაგრიტი, ალბერტო ჯაკომეტი, მარკ შაგალი; აბსტრაქციონისტები, დადაისტები: ვასილი კანდინსკი, კაზიმირ მალევიჩი, ხუან მირო, მარსელ დიუშანი, მენ რეი, პიტ მოდრიანი, კონსტანტინ ბრანკუზი, ჯექსონ პოლოკი; პოპ-არტი: ენდი ვორჰოლდი, რობერტ რაუშენბერგი; არქიტექტორები: ანტონი გაუდი, გუსტავ ეიფელი, ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდ რაიტი).

სწავლების მეთოდები

მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

მოკლევადიანი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა; დასახული მიზნების შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველ (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება), თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის;

გრძელვადიანი სასწავლო პროცესის დაგეგმვა: გრძელვადიანი მიზნის განსაზღვრა; ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო უნარების (პრაქტიკული, საინტერპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, კომუნიკაციური დასხვ.) დადგენა-განვითარება; იმ აქტივობების დაგეგმვა, რომელიც აუცილებელია მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად;

სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა:

მოსწავლის ცოდნის განსაზღვრა; ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურებას, საინტერესო ამოცანების დასმას, სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩაბმას, მისცემს თვითგამოხატვის, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის საშუალებას და სხვა; მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევის განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, მოდელებზე დაკვირვება, სამუშაოს ორგანიზება, შედეგის გაუმჯობესება/გადამუშავება თვითშეფასების/თანაშეფასების გზით და სხვა;

შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად:

მიმდინარე და შემაჯამებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება:

სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება; საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება და თვითშეფასებისა და შეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.